მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2023 წელი, №3

პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე

პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს ვულოცავ ყველა ჟურნალისტს, ვინც კეთილსინდისიერად და ერთგულად ემსახურება თავის პროფესიას.

უტყუარი და დაბალანსებული ინფორმაციის გავრცელება ჟურნალისტის ის პასუხისმგებლობაა, რომელიც საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე აქვს აღებული და რომლის განუხრელად შესრულებას საზოგადოების მხრიდან მისი დიდი დაფასება მოჰყვება.

სწორედ ამ პრინციპებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული საქმიანობა იწოდება მსოფლიოში მაღალპროფესიონალურ და თავისუფალ ჟურნალისტიკად, რადგან ამ სტანდარტის დაცვა ქმნის ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების მყარ საფუძველს.

თავისუფალი პრესა არის როგორც ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის, ისე მისი დემოკრატიულობისაკენ სწრაფვის ნიშანი. ჩვენს ქვეყანაში არსებული მედიაგარემო წლების განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა, დღეს ჩვენ გვაქვს თავისუფალი, დამოუკიდებელი და პლურალისტული მედიასივრცე.

კიდევ ერთხელ ვულოცავ პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს ყველა ჟურნალისტს და ვუსურვებ წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში.

საქართველოს
პრემიერ-მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი

ახალგაზრდები მომავლიდან

(მუხლჩაუხრელი შრომა-წარმატების საწინდარია)

არაფერია წარმატებული ახალგაზრდების შესახებ საუბარზე მეტად სასიამოვნო.

შეგახსენებთ, რომ, მუნიციპალიტეტის ყველა თემიდან ველოდები ინფორმაციებს ნიჭიერი, მიზანდასახული და წარმატებული ახალგაზრდების შესახებ, რათა გავაცნოთ ისინი ფართო აუდიტორიას და ყველას მივცეთ მოტივაცია პიროვნული ზრდისა და განვითარებისაკენ.

დღეს კი ვისაუბრებთ მესტიელი წარმატებული მეკლდეურის - გიორგი ჯაფარიძის შესახებ

გიორგი ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში გაიტაცა სპორტის ამ სახეობამ და პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ, მწვრთნელის, მიშა მჭედლიანის ხელშეწყობით, დაიწყო ვარჯიში და დაუღალავი შრომა წარმატების მისაღწევად.

მართლაც, პირველივე შეჯიბრზე ახალგაზრდებში, გიორგი საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ეს გამარჯვება დიდი მოტივაცია იყო შემდგომი წინსვლისათვის და გიორგი უკვე მუდმივ რეჟიმში ხდებოდა სხვადასხვა პრიზებისა და

სიგელების მფლობელი, მათ შორის საერთაშორისო მემორიალებზე. პარალელურად, ისევ გახდა საქართველოს ჩემპიონი უკვე დიდებში.

სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგი ჯაფარიძე საქართველოს ნაკრებში მიიღეს. მისი მწვრთნელი იყო ავთო ქურასბედიანი. დიდი შრომის შემდეგ დაიწყო აქტიური გასვლები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, სადაც გიორგი ღირსეულად წარადგენდა ჩვენს ქვეყანას და ყოველთვის თასებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა სამშობლოში.

ახლა გიორგის მიზანია მომზადება 2024 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის.

ამ მიზნით, მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში ერთი წელი ვარჯიშობდა იტალიის ნაკრებში, იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან.

აღსანიშნავია სოციალურ ქსელში გავრცელებული საოცარი წერილი იტალიაში მასპინძელი ოჯახის ქალბატონისგან, რომელიც, გარდა სპორტული მონაცემებისა, ხაზს უსვამდა გიორგისა და მისი მეგობრების წესიერებას, ჰუმანურ თვისებებს და მთელი გულით ლოცავდა მათ.

ახლახანს გიორგიმ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო თასზე ამერიკაში.

იგეგმება არაერთგზის მონაწილეობის მიღება ევროპისა და მსოფლიო ტურნირებში, რათა დაიაგროვოს მაღალი ქულები პარიზის ოლიმპიადის საგზურისათვის.

პროფესიონალად ჩამოყალიბებისა და სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ, გიორგის გეგმებში უპირველეს ადგილზეა ამერიკაში სამწვრთნელო კურსების გავლა და მშობლიურ სვანეთში დაბრუნება, რათა იზრუნოს ადგილობრივ, დიდი პოტენციალის მქონე ბავშვებზე და გაზარდოს მომავალი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები

უზარმაზარ და ყოველდღიურ შრომას მოიცავს დასაწერად და წასაკითხად ადვილი ტექსტები..

მაგრამ სწორედ ასეთი მუხლჩაუხრელი შრომა არის წარმატების საწინდარი.

ვუსურვოთ მას დღეგრძელი, წარმატებული, სიხარულით სავსე მომავალი და მუდამ ვიამაყოთ ასეთი ახალგაზრდებით, რომელთაც უამრავი წარმატებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, არ ავიწყდებათ მშობლიური კუთხე და სურთ მათი წილი სერიოზული აგურის დადება სვანეთის საკეთილდღეოდ.

უფალმა დაგლოცოს გიორგი და გატაროს მუდამ წარმატების გზით.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი მოსწავლეთა მიღებას აცხადებს

გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2023-2024 სასწავლო წლისათვის.

ლიცეუმში მიიღებიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები, რომლებიც 2022-2023 სასწავლო წელს დაამთავრებენ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს (IX კლასი) და დააკმაყოფილებენ შესარჩევი კონკურსის პირობებს.

ლიცეუმში მიღება კონკურსის წესითაა. მოსწავლემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია, ჩააბაროს მისაღები გამოცდები ზოგად უნარებსა და მათემატიკაში, ასევე, წარმატებით უნდა გაიაროს სამედიცინო კომისია. გამოცდების შედეგებისა და რეიტინგული სიის შესაბამისად, ლიცეუმში ჩასარიცხად შერჩეული მოსწავლეები გაივლიან სამედიცინო შემოწმებას. თუ რომელიმე მოსწავლე სამედიცინო შემოწმების შედეგად მიიღებს უარყოფით პასუხს, ის ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს და მას ჩაენაცვლება რეიტინგით მომდევნო მოსწავლე.

საბუთების მიღება იწარმოებს 2023 წლის 26 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით ყოველდღიურად გარდა კვირა დღისა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. შესვენება 13:00 საათიდან 14:00 საათამდე შემდეგ მისამართებზე:

ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის №51 - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის №117 ა - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

საბუთების მიმღებ კომისიაზე უნდა გამოცხადდეს, როგორც მოსწავლე, ასევე, ერთ-ერთი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტით) და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება მოსწავლის მიღების შესახებ;

მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის დედანი და ასლი;

მოსწავლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის დედანი და ასლი;

მოსწავლის დაბადების მოწმობის დედანი და ასლი;

ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა #100);

ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლოდაწესებულებიდან ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის (IX კლასი) მიმდინარე წელს დამთავრების შესახებ;

მონაცემები მოსწავლის წლიური (IXკლასი) შეფასების შესახებ და დახასიათება ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებიდან;

მოსწავლის ავტობიოგრაფია;

ფერადი სურათი 3/4-ზე (2 ცალი).

რეგისტრირებულ მოსწავლეს ჩასაბარებელი ექნება მათემატიკისა და ზოგადი უნარების (ვერბალური და მათემატიკური ნაწილები) გამოცდები.

08.07.2023 – მათემატიკის გამოცდა.

09.07.2023 – ზოგადი უნარების გამოცდა.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: https://shorturl.at/uwCJ3

სიახლე, რომელსაც ასე ძალიან ველოდით

მესტიის საავადმყოფოს ამბულატორიულ გაერთიანებაში გაიხსნა სტომატოლოგიური კაბინეტი.

მირიან თოთლაძე გახლავთ ექიმი სტომატოლოგი-თერაპევტი, ქირურგი, ორთოპედი.

აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება სტომატოლოგიაში.

არის თანამედროვე ესთეტიკური და აღდგენითი სტომატოლოგიის ექსპერტი.

მონაწილეობდა პრესტიჟულ სტომატოლოგიურ კონგრესებსა და კონფერენციებში, ასევე ინდივიდუალურ ლექციებში პრაქტიკული სავარჯიშოებით მსოფლიოს სერტიფიცირებულ სასწავლო ცენტრებში.

ვევას სტომატოლოგიური კლინიკის დამფუძნებელი რუსეთში.

გამოცდილება - 17 წელი.

სპეციალისტი რომელსაც შეგიძლია ენდო, რადგან მან იცის და ფლობს ცოდნას და გამოცდილებას.

მეგობრული, ყურადღებიანი, კომფორტული და უსაფრთხო, ინდივიდუალური მიდგომით.

მუშაობს მაღალი ხარისხის სერტიფიცირებული უცხოური მასალებით.

ფლობს სამ ენას:ქართული, ინგლისური, რუსული.

ჩაწერისთვის დაგვიკავშირდით: 511182823

ჯანმრთელობას გისურვებთ

მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება

„ლაგნაჟი ლიგნე"

სვანურ სამედიატრო სასამართლოს ძალიან ღრმა ფესვები აქვს. ამის თქმის საფუძველს იძლევა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ცნობები, ასევე ზეპირი ხალხური გადმოცემა, რომელიც თაობებმა ჩვენამდე მოიტანეს.

სვანეთში საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა ე.წ. სისხლის აღების წესი, იგივე ტალიონის კანონი, რის შედეგადაც რამდენიმე ასეულმა ადგილობრივმა გვარმა არსებობა შეწყვიტა. მტრობა ხშირ შემთხვევაში შთამომავლობას გადაეცემოდა. ამ ძნელბედობის ჟამს მედიატორებს (სვან.: „მორვალ") დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მამასახლისი, რომელსაც თავისი ხელმწიფე უმაგრებდა ზურგს, სამედიატრო სასამართლო სვანებისთვის მაინც შეუცვლელი იყო, რაც ხატზე დაფიცების ტრადიციით შეიძლება აიხსნას. სვანებს სჯეროდათ, რომ მათი სათაყვანებელი ხატი არა მხოლოდ ფიცის გამტეხს, არამედ მის ოჯახს და შთამომავლობას ადრე თუ გვიან მაინც დასჯიდა. არ იქნება მართებული ამ თემაზე წარსულში ვისაუბრო, ვინაიდან ხატზე დაფიცება სვანეთში დღესაც აქტუალურია.

სვანეთის ისტორიულ საბუთებსა და მატიანეებში შემონახულია მე-14 საუკუნის ცნობა-საბუთი, დაწერილი ჯამნარ ჯაფარისძისა (ჯაფარიძისა) სეტიელებისადმი, სადაც ავტორი ამბობს: „მას ჟამსა ოდეს ლაღობასა შინა მხარი მატკინე, მერმე გვაუბნეს მართალთა კაცთა, მოგვაწყვეს, რომელი გაგვიჩინეს– გარდაიხადე, არაი დაგრჩა ჩემი სასარჩლო" („სვანეთის წერილობითი ძეგლები" ტომი 1. 1986:181). ეჭვგარეშეა ის, რომ „მართალ კაცებში" მედიატორები, ხოლო „უბნობაში" მედიაცია იგულისხმება.

ჩნდება ასეთი კითხვა: თუ სვანეთში სამედიატრო სასამართლო დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რამ გამოიწვია ორასზე მეტი ადგილობრივი გვარის ურთიერთშუღლით ამოწყვეტა? ნუთუ მედიატორები არ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე? ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხები არ არსებობს. ხშირ შემთხვევაში მედიატორები ვერ ასწრებდნენ მოქიშპეთა საქმეებში დროულად ჩარევას, რაც განპირობებული იყო მაშინდელი რთული ბუნებრივი პირობებით, უგზოობით, უტრანსპორტობით და ა.შ.

ხშირად ზამთარში სოფელთა შორის კავშირი რთული ბუნებრივი პირობების გამო 6-7 თვე გაწყვეტილი იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ მედიატორების დროული ჩარევაც ხშირ შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდებოდა. მოკლულის ახლო ნათესავი (ძმა, შვილი, მამა) ყველანაირად ცდილობდა მოსისხლე მტრისთვის სამაგიერო გადაეხადა, რადგან სამაგიეროს არგადახდა სირცხვილად მიაჩნდათ.

სვანური სამედიატრო სასამართლოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი არის „ლაგნაჟი ლიგნე", რაც სიტყვა-სიტყვით რომ გადავთარგმნოთ „ადგილზე დადგომას" ან „ადგილზე დაყენებას" ნიშნავს. დაზარალებული დამზარალებლისაგან ითხოვდა „ლაგნაჟი ლიგნეს" ხატზე დაფიცებით. საქმე შეიძლება ეხებოდეს როგორც მკვლელობებს, ისე ქონებრივ დავას, ფიზიკურ თუ მორალურ შეურაცხყოფას და ა.შ.

მედიატორები დამზარალებელს გადასცემდნენ დაზარალებულისაგან მითითებულ მამაკაცების სიას. ამ სტატუსის მქონე მამაკაცებს სვანურად „ლუფხვილ მარალს" ეძახიან (სვან.: „ფხულე" - თითი, „მარე" - კაცი). როგორც ეთნოგრაფი ბესარიონ ნიჟარაძე, იგივე „თავისუფალი სვანი" აღნიშნავს, მოფიცარ კაცთა ამორჩევის უფლება მხოლოდ დაჩაგრულ მხარეს ჰქონდა (ბესარიონ ნიჟარაძე– თავისუფალი სვანი „ისტორიულ ეთნოგრაფიული წერილები „ტომი 1.1962:101). დამზარალებელი მითითებულ კაცებთან ერთად ხატზე დაიფიცებდა, რომ დაზარალებულს იგივე დანაშაულს, იგივე პირობებით თავადაც აპატიებდა, ანუ, დაზარალებულის ადგილას თვითონ რომ ყოფილიყო, დამზარალებელს ცოდვას შეუნდობდა და შეურიგდებოდა. სწორედ ამაში მდგომარეობს „ლაგნაჟი ლიგნეს" ოქროს წესი. ესე იგი მჩაგვრელი შედის დაჩაგრულის მდგომარეობაში მორალურად (ანუ, მის ადგილზე დგება) და ეუბნება: შემინდე, რადგან მეც შეგინდობდი, მით უფრო, რომ მე მხოლოდ ჩემი თავით არ ვაგებ პასუხს ღვთისა და ხატის წინაშე, არამედ ადამიანებიც, რომლებიც შენ მე მიმითითე. ამასთან ერთად, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ე.წ. მითითებული კაცები დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ დამზარალებლის გულწრფელობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხატზე დაფიცებაზე უარს ამბობდნენ. მითითებულ ადამიანთაგან რიტუალს ერთი კაციც რომ აკლდეს, დაზარალებულს შეუძლია „ლაგნაჟი ლიგნე" გაუქმებულად გამოაცხადოს.

ზემო სვანეთის სოფელ ფარის მკვიდრის, 75 წლის ამირან დევდარიანის გადმოცემით, მათ თემში „ლაგნაჟი ლიგნეს „ბევრი ოჯახი და „სამხუბი" (საგვარეულო) შეურიგებია. მან ინტერვიუს დროს გაიხსენა ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც ახლო წარსულში მოხდა მისავე სოფელში: ორ საგვარეულოს, გიგლაშერებსა და ნექეშერებს შორის, (ეს სახელწოდებები გარკვეული მიზეზების გამო შეცვლილია), მტრობა იმით დაიწყო, რომ ერთი გვარის წარმომადგენელმა მეორე გვარის წარმომადგენელი ფიზიკური დაპირისპირების დროს ცივი იარაღით დაჭრა. ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. საქმეში ადგილობრივი მედიატორები მაშინვე ჩაერივნენ, თუმცა უშედეგოდ. დაზარალებულს შერიგებაზე საუბარი საერთოდ არ სურდა. საქმეს ის ართულებდა, რომ დაზარალებულიც და დამზარალებელიც ერთ თემში ცხოვრობდნენ და მათ სოფლებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პატარა მინდორი ჰყოფდა. ამ მანძილზე ერთი სოფლიდან მეორეში მიუსვლელად შესაძლებელია თოფით კაცის მოკვლა. შესაძლოა ყოველ წუთს უბედურება დატრიალებულიყო. ამასობაში, დამზარალებელი დაიჭირეს და გაასამართლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ მტრობა ისევ გაგრძელდა, დაზარალებულს შურისძიება სწყუროდა, მტრობა შთამომავლობაზეც იყო გადასული. მთავარი გმირები უკვე ხანში იყვნენ შესული. დამზარალებელი ძალიან წუხდა იმაზე, რომ შთამომავლებს შორის შეიძლება სისხლი დაღვრილიყო, უგზავნიდა შუამავლებს და „ლაგნაჟი ლიგნეს" სთავაზობდა, თუმცა უშედეგოდ.

ერთ დღეს, გამთენიისას დაზარალებულის სახლს ხანძარი გაუჩნდა. ისე მოხდა, რომ ხანძარი პირველმა დამზარალებელმა შეამჩნია, დასტაცა სათლს ხელი წყლით აავსო და ცეცხლმოკიდებული სახლისაკენ გაიქცა, თან ხმამაღლა გაჰყვიროდა „ფადას! ფადას!" (სვან.: „ფადას" ხალხის ერთობლივი მოქმედებისაკენ მოწოდებას ნიშნავს, საგანგაშო სიტუაციის დროს). ცეცხლმოკიდებულ სახლამდე მიღწეულ მოხუცს მეზობლები წამოეწივნენ ძახილით: შენ აქ დარჩი, ჩვენ წავალთ, თორემ მოგკლავსო. მეზობლების თხოვნის მიუხედავად, დამზარალებელი გაიქცა ცეცხლმოკიდებული სახლისკენ და წყალი პირველმა შეასხა. როდესაც ყველაფერი დამთავრდა, მოხუცმა დაზარალებულს უთხრა, აქა ვარ და მომკალიო. ამ ამბავს მათი შერიგება მოჰყვა. თუმცა, დამზარალებელს „ლაგნაჟი ლიგნე" მაინც მოუწია მითითებულ ადამიანებთან ერთად, ხატზე დაფიცებით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლაგნაჟი ლიგნე" როგორც სვანური სამართლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, მეტად მნიშვნელოვანი იყო და არის ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის კომპონენტები თემებს შორის მეტნაკლებად განსხვავდებოდა, „ლაგნაჟი ლიგნე" ყველა თემისათვის შეუცვლელი და მისაღები ფორმა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მედიაცია სვანეთში გვაროვნული წყობილების ნიშან-თვისებით ხასიათდება. ეს ფაქტი არ არის გასაკვირი, რადგან სვანეთში დღემდეა შენარჩუნებული დიდი და განუყოფელი ოჯახის კულტი, ცხადია არა ისეთი ფორმით, როგორც შუა საუკუნეებში იყო. ცნობილია,რომ სვანური ოჯახი ძველად 40-50 ადამიანს აერთიანებდა, რაც საგვარეულოს სიძლიერის საწინდარი იყო.

სტატიის ავტორი: ანა ჯაფარიძე, XII კლასი, დაბა მესტიის სკოლა-გიმნაზია. კონკურსის „მიშგოვ ლარდა" გამარჯვებული

სკოლამდელი აღზრდის თანამშრომელთა ღვაწლისადმი მიძღვნილი ღონისძიება

5 მაისს, მესტიის ლეო ფილფანის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის- ქალბატონ მაია ხერგიანის ინიციატივით, ჩატარდა სკოლამდელი აღზრდის თანამშრომელთა ღვაწლისადმი მიძღვნილი ღონისძიება მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით.

სტუმრების წინაშე მისასალმებელი სიტყვით წარსდგა გაერთიანების დირექტორი მაია ხერგიანი, რომელმაც მადლობა გადაუხადა პერსონალს ნაყოფიერი მუშაობისთვის და აღნიშნა ადგილობრივი თვითმართველობის როლი მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმართ გამოჩენილი მუდმივი ყურადღებისათვის.

,,ეს ყოველივე საშუალებას გვაძლევს, დაუღალავი შრომით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდეთ საბოლოო მიზანს და შევქმნათ ბავშვის ჰარმონიული განითარებისათვის სრულყოფილი გარემო" აღნიშნა მაია ხერგიანმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების თანამშრომლები, აღსაზრდელთა მშობლები, კულტურისა და განათლების სფეროს წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები.

ღონისძიების წამყვანი გახლდათ გაერთიანების მეთოდისტი- რუსუდან ნაკანი, რომელმაც დარბაზში ძალიან პოზიტიური გარემო შექმნა.

დაჯილდოების ცერემონიალის დასრულების შემდეგ, სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებმა წარმოადგინეს სხვადასხვა შემოქმედებითი ნომრები, შეასრულეს სიმღერები, წაიკითხეს ლექსები.. იყო მუსიკა და მქუხარე აპლოდისმენტები.

დასასრულს, დარბაზს სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა კულ-

ტურის საკითხებში- ლევან კიკვიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა გაერთიანების დირექტორს ნაყოფიერი საქმიანობისა და ლამაზი ღონისძიებისათვის.

ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ:

შუკვანი მზიანა, კვიციანი ლელა, დავითიანი ნათია, ჩამგელიანი ეკა, წერედიანი მანანა, გიგანი მარინე, გადრანი მირანდა, ნაკანი ლორენა, ჯაფარიძე ეკატერინე, ქალდანი ნანი, სუბელიანი ელონა, ბერიძე გულთამზე, დავითიანი სალომე, გუჯეჯიანი ოლია, ბარლიანი ლელა, ხერგიანი იზა, მა-

ისურაძე სალომე, თამლიანი მადიშა, აკობია სოფიო, ფილფანი თამარი, გულედანი ნინო, ხერგიანი ვალერი, ხაჭვანი ნანული, ნიჟარაძე ნატო, ბარლიანი ქეთინო, ნაკანი ქეთინო, ილდანი ეკატერინე, კვიციანი ეკატერინე, ჟორჟოლიანი ნინო, გულბანი ანა, უდესიანი ცისანა, ლიქოკელი თამარ, შუკვანი შორენა.

ვულოცავთ ამ ადამიანებს დამსახურებულ ჯილდოს და ვუსურვებთ ნაყოფიერ და წარმატებულ საქმიანობას.

გაერთიანების დირექტორს და ადმინის-

ტრაციას კი მადლობას ვუხდით წლების მანძილზე მათ მიერ განხორციელებული სერიოზული და ეფექტური საქმიანობის გამო.

მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის ყოფილ პედაგოგს- რუბენ (ჯენერ) გვარლიანს დამსახურებული მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა

მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის ყოფილ პედაგოგს- რუბენ (ჯენერ)

გვარლიანს დამსახურებული მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა.

დაჯილდოების ცერემონიისადმი მიძღვნილი საღამო პედაგოგ მარიანა ფალიანის ხელმძღვანელობით, სკოლის ორგანიზებით, მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის და მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის თანადგომით მესტიის ლეო ფილფანის სახელობის თეატრში, 3 აპრილს ჩატარდა

ჯენერი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სპორტული მონაცემებით. იყო მოთხილამურე და მძლეოსანი. სკოლაში სწავლის პერიოდში მიღებული აქვს უამრავი ჯილდო და მედალი რაიონულ თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1965 წელს, მუშაობა დაიწყო სათხილამურო რბოლების მწვრთნელად სპორტ-სკოლაში და მესტიის N1 საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად.

ჯენერ გვარლიანი არის დიდი მიხეილ ხერგიანის მოწაფე და აღზრდილი. სათხილამურო რბოლასთან და მძლეოსნობასთან ერთად იგი მეკლდეური/მთამსვლელიც იყო.

მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით დალაშქრული აქვს მწვერვალი იალბუზი და მწვერვალი უშბა. მისი თანაგუნდელები და მიხეილ ხერგიანის ჯგუფის წევრები იყვნენ ცნობილი მთამსვლელები: კარლო არღვლიანი, ზაქრო მუშკუდიანი,

მურადი მჭედლიანი, ვალერ რატიანი, გაიოზ ჩართოლანი, ნუგზარ ნიგურიანი, ხუტა ხერგიანი და სხვები. იგი გაზრდილია ისეთი დიდი მთამსვლელების გარემოცვაში, როგორიც იყვნენ შალვა მარგიანი, იოსებ და ჯუმბერ კახიანები. ჯენერ გვარლიანს რამოდენიმეჯერ აქვს დალაშქრული კავკასიონის მწვერვალები: უშბა, თეთნულდი, შხარა, იალბუზი და სხვა.

ჯენერ გვარლიანი არის ინიციატორი და მონაწილე ბანგურიანის ლაშქრობების. უამრავი ახალგაზრდა აზიარა მან მწვერვალის დალაშქვრით გამოწვეულ სიხარულს.

იყო სამაშველო ტექნიკური ჯგუფის წევრი წლების განმავლობაში. უმკაცრესი ზამთრის კლიმატურ პირობებში, ყინვასა და ქარბუქში შოთა გერლიანი-ჯგუფის ხელმძღვანელი, თვითონ და თოხდარ მარგიანი ადიოდნენ ზურულდის მთაზე სატელევიზიო გადამცემ სადგურზე, რათა აღედგინათ კავშირი. ბევრჯერ დამდგარა მათი სიცოცხლე საფრთხის წინაშე, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მოვალეობა იყო მათთვის უპირველესი.

ჯენერ გვარლიანმა აღზარდა ათეულობით ახალგაზრდა, მათ შორის იყვნენ და არიან საქართველოსა და ევროპის ჩემპიონები სხვადასხვა სპორტულ სახეობებში, მათ შორის ლერი ნაკანი და ვახო ჯაფარიძე.

ჯენერ გვარლიანი წლების განმავლობაში მუშაობდა მეთოდისტად მესტიის რაიონის განათლების განყოფილებაში.

2004 წელს მუშაობა დაიწყო სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლაში. მისი დიდი მასწავლებლის სახელობის სკოლაში მუშაობა ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებდა და მართლაც მისი მასწავლებლობის პერიოდში მოსწავლეებმა და სკოლის ფეხბურთის გუნდმა უამრავ წარმატებას მიაღწია. სკოლის მოსწავლეები იყვნენ რაიონული და რეგიონალური თამაშების გამარჯვებულები მძლეოსნობაში, კალათბურთსა და მინი ფეხბურთში. სკოლის გუნდი ზედიზედ რამოდენიმე წლის განმავლობაში იყო ,,კოკა-კოლას თასის“ გამარჯვებული. ჯენერ მასწავლებლის სიყვარული დღემდე მოყვებათ ახალგაზრდებს.

ჯენერ გვარლიანს ჰყავდა უძვირფასესი და ულამაზესი მეუღლე, ქალბატონი მზია ჩართოლანი. მათი სიყვარული ბევრისთვის სამაგალითო იყო და იქნება მომავალშიც. ჰყავთ 5 შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები. მეუღლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი სწორედ შვილიშვილების სიყვარულმა გადა-

ატანინა მას.

გამორჩეულობა მუდამ თან სდევს ბატონ ჯენერს, დღესაც კი მას დიდი სიყვარულით იხსენებენ ყოფილი მოსწავლეები, ტკბილად აგონდებათ მასთან გატარებული წუთი თუ წამი.სწორედ ასეთ ადამიანებზეა ნათქვამი: დიდებული ადამიანებს მათი საქმეები წარმოაჩენენო. მისი ადამიანური ღირსებები მის შთამომავლობასა და აღზრდილ თაობებში თანაბრად განაწილდა.

ვულოცავთ ბატონ ჯენერ (რუბენ) გვარლიანს დამსახურებული მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, მშვიდობას და ულევ სიხარულს.

პროექტი "Smart light"-ენერგორესურსების მდგრადი გამოყენება



Technovation Girls საერთაშორისო პროექტია, რომელშიც უკვე 12 წელია, მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნის ათიათასობით გოგო იღებს მონაწილეობას. პროგრამის ფარგლებში ისინი სწავლობენ პროგრამირებასა და ტექნოლოგიური პროდუქტების შემუშავებას.

წელს,პროექტის ოფიციალური განმხორციელებელი გახლდათ ალტე უნივერსიტეტი და ალტე უნივერსიტეტის ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრის ხელმძღვანელი,პროფესორი ნანა დიხამინჯია.

წელს,პირველად, აღნიშნულ პროექტში მესტიის მუნიციპლიტეტის ფარის საჯარო სკოლაც ჩაერთო.

გოგონათა გუნდი ფარისა და ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან შედგებოდა,მათ შექმნეს პროექტი "Smart Light",რომელიც მომხმარებელს ატყობინებს,რომ მის სახლში დენი ჩართულია,პროექტი ხელს უწყობს ენერგორესურსების მდგრად გამოყენებას.

გუნდიის TSFE-Technical Support For Earth-ის წევრები არიან:

ბარბარე გუგავა-ცაგერის საჯარო სკოლა

ნანა რეზესიძე- ფარის საჯარო სკოლა

ანასტასია რეზესიძე-ფარის საჯარო სკოლა

თიკო დადეშქელიანი-ფარის საჯარო სკოლა

ელმირა ჩხვიმიანი-ფარის საჯარო სკოლა

მენტორი,ფარის საჯარო სკოლის პედაგოგი,ეკა წულუკიძე.

20 მაისს,ალტე უნივერსიტეტმა პროექტის მონაწილეთა რეგიონალურ ტურს უმასპინძლა,სადაც 25-მა გუნდმა საკუთარი ნამუშევრები წარადგინა.

გამოვლინდა სამი

ფინალისტი,რომელიც მონაწილეობას განაგრძობს საერთაშორისო ასპარეზზე

ფინალისტებს შორის დასახელდა ფარისა და ცაგერის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი TSFE.

ვუსურვებთ წარმატებებს.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
irmajachvliani1968@gmail.com